GRASS REFORMANDA
„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ №
თარიღი: _____ 20_____ წ.

GRASS REFORMANDA
„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“
წერილის №
თარიღი: 26 06 2015 წ.
133

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 7 15 00483593

10/06/2015

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS)
ვიცე-დირექტორს ბატონ პაატა გაფრინდაშვილს
ელ. ფოსტა: n.vakhtangashvili@factcheck.ge

ბატონო პაატა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2015 წლის 28 მაისის №205 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N438669; 29.05.15) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 27-ე, 28-ე, 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების, ასევე „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად ელ. ფოსტაზე (n.vakhtangashvili@factcheck.ge), დანართების სახით, გიგზავნით კორესპონდენციით მოთხოვნილ ინფორმაციას.

განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ ზემოაღნიშნული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობაზე.

დანართი: 4 ფურცელი, 1 ელექტრონული ფაილი

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი / საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
მიროტაძე მედიკო

მ. მიროტაძე

დანართი:

მოსწავლის სასკოლო პროცესს მიღმა დარჩენას შესაძლებელია განსხვავებული მიზეზები ედოს საფუძვლად:

ა) 5 წლიანი ბავშვები, მათი გონებრივი და ასაკობრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში ვერ ერთვებიან სასწავლო პროცესში, რაც მშობლებს იძულებულს ხდის დატოვონ ბავშვები სასკოლო პროცეს მიღმა. აღნიშნულთან დაკავშრებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადდა „სასკოლო მზაობის პროგრამა", რომლის მიზანია გაუადვილოს ბავშვს ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პერიოდი, განუვითაროს მას მოტორული, სოციალური, ემოციური და შემეცნებითი უნარები, კომუნიკაცია და მეტყველება, სწავლისთვის საჭირო ნებელობა. ბავშვის სათანადო განვითარება სასკოლო მზაობის კუთხით, ბევრად უფრო წარმატებულს ხდის ბავშვს განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა);

ბ) ოჯახის მიერ ქვეყნის ხანგრძლივად დატოვება - საზღვარგარეთ საცხოვრებლად გადასვლა (თუმცა საქართველოში დაბრუნების შეთხვევაში მოსწავლეს ეძლევა საშუალება შეუფერხებლად გააგრძელოს სწავლა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში - ხდება მის მიერ საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარება, განსხვავებულ საგნებს კი მოსწავლე გადის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად;)

გ) არსებობდა რისკი იმისა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრილი არასრულწლოვანი პატიმარი შეიძლება აღმოჩენილიყო საგანმანათლებლო პროცესს მიღმა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად უზრუნველყოფს „ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობის" პროგრამას, რომლის ფარგლებშიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული პირებისათვის ხელმისაწვდომია ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

დ) სკოლის მიტოვების მიზეზად რიგ შემთხვევებში სახელდება ნაადრევი ქორწინება.

ნაადრევ ქორწინებაში მყოფ მოსწავლეს აქვთ საშუალება შეუფერხებლად გააგრძელოს სწავლა ზოგადსგანმანათლებლო დწესებულებაში, ან განათლება მიიღონ ალტერნატიული გზით - ექსტერნატის ფორმით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოსწავლეთა და მშობელთა ცნობიერების ამღლების მიზნით ახორციელებს სხვადსხვა ტიპის აქტივობებს. შემუშავდა "მშობელთა განათლებისა და ჩართულობის პროგრამა, რომლის ფარგლებში ადრეული ქორწინების პრევენციის მიზნით დაგეგმილია ღონისძიებები მშობელთა ცნობიერების ასამაღლებლად. ასევე, „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების" პროგრამის „სასკოლო კონკურსების" ქვეპროგრამის ფარგლებში, ჩაატარა ვიდეორგოლების კონკურსი „ევროპა ჩემს ობიექტივში", რომლის მიზანია მოზარდებმა გაიაზრონ ევროპული ღირებულებების არსი და მისი მნიშვნელობა ქართულ თანამედროვე სივრცეში; გამოხატონ საკუთარი ხედვა და დამოკიდებულება ევროპული ფასეულობებისადმი, მაგალითად, ბავშვთა უფლებების დაცვა (მათ შორის სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების, ნაადრევი ქორწინების გამო უფლებაშელახული

ბავშვების, განათლების უფლების არქონისა და სკოლის იძულებით მიტოვების პრობლემები და სხვა), გენდერული თანასწორობა, ტოლერანტობა, დისკრიმინაცია და სხვა.

ე) საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეთა ნაწილი იღებს გადაწყვეტილებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შეწყვეტის თაობაზე. მათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სთავაზობს შესაძლებლობას მიიღონ პროფესიული განათლება.

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად მუშაობს სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი იდენტიფიცირებული ბავშვების ფორმალურ განათლებაში ინტეგრაციაზე, როგორც ცალკეული პრობლემური შემთხვევების მოგვარების მიმართულებით, ასევე ქვეყანაში სკოლის მიღმა დარჩენის მაღალი რისკის მქონე ბავშვთა ჯგუფების მიმართ საგანმანათლებლო პოლიტიკის შესამუშავებლად. პირველ რიგში, ძალიან მნიშვნელოვანია და უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი კანონმდებლობით შესაძლებელია საგანმანათლებლო ისტორიის არ მქონე ბავშვის ჩარიცხვა სკოლაში თავის ასაკობრივ ჯგუფში, მიუხედავად მისი აკადემიური მზაობისა. კონკრეტული შემთხვევების იდენტიფიცირებისას პროცესში ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც აფასებს სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებებს, საჭიროების შემთხვევაში სპეცმასწავლებელი იწყებს მუშაობას ბავშვთან და ასევე მისთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც ხელს უწყობს ბავშვის ინტეგრირებას სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული სქემით მხოლოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს ე. წ. „ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის" არსებული სერვისების ბენეფიციარებიდან სკოლაში უკვე ინტეგრირებულია/რეინტეგრირებულია 28 ბავშვი.

სკოლიდან სამინისტროს საინფორმაციო ბაზაში არსებული მოსწავლის ამორიცხვა/მოსწავლის სტატუსის შეჩერებისას, არასაპატიო 90 სასწავლო დღის გაცდენის ან სკოლის შინაგანაწესის სისტემატური დარღვევის შემთხვევაში, ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირის მიერ ხდება სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმირება შემთხვევის შესახებ (მათ შორის ნაადრევი ქორწინების შემთხვევისას) და სოციალური მუშაკის ჩართვა მოზარდის იმ პრობლემების რეგულირებაში, რომელიც შესაძლოა განაპირობებს მისი ფორმალური განათლების მიღმა დარჩენას, სასწავლო პროცესიდან ადრეულ განთესვას. იწყება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის - რეფერირების პროცედურა.

რაც შეეხება სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვების მიმართ პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას, ამ მიმართულებით 2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი ინიციატივით დაიწყო პროგრამის „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში" განხორციელება. პროგრამის მიზანია სხვადასხვა მიზეზით საგანმანათლებლო სივრცის მიღმა აღმოჩენილ ბავშვთა განათლების უფლების უზრუნველყოფა, სისტემური მიდგომებით ყველა ბავშვის ფორმალური განათლების სისტემაში ჩართვისა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარების ხელშეწყობა.

ამავე პერიოდში ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, განისაზღვრა რისკის მქონე ბავშვთა ჯგუფები, კერძოდ გამოიკვეთა ბავშვთა ის მოწყვლადი ჯგუფები, რომელთაგან ყველაზე ხშირად რჩება მოზარდი ფორმალური განათლების მიღმა. ბავშვთა ჯგუფები, რომლებიც სკოლის მიღმა დარჩენის მაღალი რისკით ხასიათდება: ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები; ინსტიტუციების, მცირე საოჯახო ტიპის სახლებისა და დღის ცენტრების ბენეფიციარები; სახელმწიფო ზრუნვიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვები; მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვები; ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან; ბავშვები, რომლებიც სეზონური სამუშაოებში მონაწილეობის გამო, ან ოჯახური საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე ხანგძლივად არ ესწრებიან სწავლის პროცესს ან არ ირიცხებიან სკოლაში; მოქალაქეობის არ მქონე პირის სტატუსის მქონე ბავშვები; პირადი ნომრის არ მქონე ბავშვები; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები (ბოშები, აზერბაიჯანელები,..); არასრულწლოვანი პრობაციონერები; ბავშვები საპატრიარქოს ბავშვთა სახლებიდან; მდევნილი ბავშვები; ბავშვები, რომლებიც ანებებენ სწავლას თავს ადრეულ ასაკში დაოჯახების გამო (ძირითადად გოგონები); ბავშვები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მაგრამ არიან სკოლის მიტოვების რისკის ქვეშ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის პრიორიტეტია განათლების თანასწორობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მისი ხარისხის გაძლიერებით, ასევე სახელმწიფო სოციალური, ეკონომიკური და საგანმანათლებლო პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი, მიუხედავად მისი სოციალური თუ ეკონომიკური სტატუსისა, ჩართული იყოს ხარისხიან ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში და გადადგმულია უკვე მრავალი ნაბიჯი განათლებიდან ადრეული განთესვის შესამცირებლად, სამწუხაროდ დღეისთვის ქვეყანაში არ არსებობს სკოლის მიღმა დარჩენილი იმ ბავშვების მონიტორინგის სისტემა, რომელნიც არასდროს ჩარიცხულან სკოლაში, არ აქვთ საგანმანათლებლო ისტორია და მათზე მონაცემები არ არსებობს სამინისტროს საინფორმაციო ბაზაში. ეს საკითხი ცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპეტენციებს.

იმის გამო, რომ ერთიანი სტატისტიკური მონაცემების თავმოყრა და გაზიარება არ ხდება განათლების სისტემისთვის, რთულია ინფორმაციის მოძიება სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვების რაოდენობის, ასაკობრივი ჯგუფების, სოციალური მდგომარეობისა და სხვა სოციალურ-დემოგრაფიული საკითხების თაობაზე. აქედან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელია სასწავლო პროცესის, ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების იდენტიფიცირება და კლასიფიცირება საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით მათთვის საგანმანათლებლო სერვისების შემუშავებისა და მიწოდების მიზნით.

პროგრამის ფარგლებში 2014 წლის მუშაობამ გამოავლინა მიზნობრივი ჯგუფების საგანმანათლებლო საჭიროებები, მათთვის ფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის, მზაობის და ხარისხის უზრუნველსაყოფად. სკოლის დღევანდელი შესაძლებლობების, ასევე მოწყვლადი ჯგუფის ბავშვთათვის დამახასიათებელი პრობლემების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, არსებობს ბარიერები მათი ფორმალურ განათლებაში ინტეგრაციისთვის. განსაკუთრებით ისეთი ჯგუფებისთვის, როგორიც ბოშა და ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები არიან (ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილი მიგრანტია მეზობელი სახელმწიფოებიდან). მათთვის აუცილებელია სპეციალური საგანმანათლებლო სერვისების შემუშავება. ეს გულისხმობს სამიზნე ჯგუფებისთვის საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისი რეკომენდებული სერვისების მომზადებას, რომელიც დაეხმარება მათ და მისცემს მეორე შანსს ჩაერთონ განათლების პროცესში და დაასრულონ ის. პირველ რიგში, საჭიროა მოზარდებს ჩამოუყალიბდეთ სწავლის მოტივაცია. ამისთვის აუცილებელია მუშაობის წარმართვა არა მხოლოდ აკადემიური უნარების განვითარების მიმართულებით, არამედ სოციალური ადაპტაციის მიმართულებით, კულტურული, სახელოვნებო, ეკოლოგიური თუ სპორტული პროგრამების შექმნა, ამ ჯგუფის ბავშვთა ყოველგვარი ინტერესების განვითარებისა და დაკმაყოფილებისთვის, მათი კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინებით.

2015 წლიდან პროგრამის ,,განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში" მუშაობა მიმართულია შემდეგ საკითხებზე:

- ✓ სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების იდენტიფიცირების მიზნით სახელმწიფოში უკვე არსებული საინფორმაციო ბაზებიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ინფორმაციაზე წვდომის საკითხის რეგულირება;
- ✓ სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის ჩარჩოს შექმნისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით დასახული სამოქმედო გეგმის განხილვისა და მისი განხორციელებისთვის შესაბამისი ორგანიზაციების მუშაობის კოორდინირება.
- ✓ საჯარო სკოლის პედაგოგთა მომზადება ადრეული განთესვის რისკის მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციისთვის, ასევე მათი გარანტირებული ინტეგრაციისთვის სასწავლო პროცესში; მოსწავლეთა მშობლების ცნობიერების ამაღლება ამ მიმართულებით.
- ✓ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ე.წ. ,,ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის'' არსებულ სერვისებში ბენეფიციართა განათლების კომპონენტით უზრუნველყოფისთვის საგანმანათლებლო სერვისის შემუშავება და განათლების კომპონენტით უზრუნველყოფის ტრანზიტული პროგრამის პილოტირების დაგეგმვა და განხორციელება.

2011-12 სასწავლო წელი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა კლასებისა და ასაკის მიხედვით (2011 წლის შემოდგომა)

	კლასი									
ასაკი (2011 წელს)	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
5	9042									
6	38963	4078								
7	4215	40710	182							
8	215	5776	37337	424						
9	48	310	6447	37148	557					
10	10	80	389	6999	36648	754				
11		29	104	498	8731	35309	705			
12		6	40	108	566	9925	33704	862		
13			12	38	133	756	11283	35050	807	
14			3	13	45	152	857	14227	35558	708
15				8	13	52	185	1091	15493	31864
16					7	13	57	191	985	12090
17					4	10	12	68	158	614
18								21	58	80
>=19										
ასაკი შეცდომით	15	46	44	51	49	71	54	43	36	34
სულ	52508	51035	44558	45287	46753	47042	46857	51553	53095	45390

2012-13 სასწავლო წელი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა კლასებისა და ასაკის მიხედვით (2012 წლის შემოდგომა)

	კლასი									
ასაკი (2012 წელს)	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
5	7746									
6	34955	8936								
7	2952	38966	4084							

8	238	4329	40841	191						
9	40	253	5875	37501	425					
10	16	52	336	6554	37348	563				
11		9	81	420	7133	36813	747			
12			27	108	554	8819	35531	712		
13				40	111	604	9930	33913	862	
14					50	138	791	11375	35150	691
15						56	169	858	14318	31747
16							57	171	1105	12764
17								54	187	552
18									62	82
>=19										
ასაკი შეცდომით	11	15	45	44	51	49	70	54	43	35
სულ	**45958**	**52560**	**51289**	**44858**	**45672**	**47042**	**47295**	**47137**	**51727**	**45871**

2013-14 სასწავლო წელი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა კლასებისა და ასაკის მიხედვით (2013 წლის შემოდგომა)

ასაკი (2013 წელს)	**1**	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**	**8**	**9**	**10**
5	5354									
6	36309	7580								
7	3001	34844	8894							
8	179	2950	38861	4081						
9	51	247	4340	40783	194					
10	13	40	250	5867	37432	426				
11		16	53	329	6600	37288	565			
12			15	85	427	7126	36726	743		
13				28	118	540	8862	35291	710	
14					42	116	637	10126	33560	807
15						48	151	855	11655	32487
16							54	193	1142	12794
17								57	213	1023
18									65	159

>=19										40
ასაკი შეცდომით	22	11	13	42	47	50	50	70	55	45
სულ	**44929**	**45688**	**52426**	**51215**	**44860**	**45594**	**47045**	**47335**	**47400**	**47355**

2014-15 სასწავლო წელი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა კლასებისა და ასაკის მიხედვით (2014 წლის შემოდგომა)

ასაკი (2014 წელს)	**1**	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**	**8**	**9**	**10**
5	58									
6	43580	5372								
7	4044	37031	7525							
8	206	3269	34713	8854						
9	63	243	2990	38709	4076					
10	24	79	251	4363	40670	205				
11	17	23	50	262	5907	37290	435			
12		11	18	60	372	6588	37157	567		
13			9	18	99	449	7154	36560	743	
14				3	32	117	590	8852	35076	683
15					11	34	117	636	10006	31447
16						14	42	168	825	10248
17							8	53	184	775
18								15	65	147
>=19										69
ასაკი შეცდომით	28	14	12	13	28	35	29	29	59	17
სულ	**48020**	**46042**	**45568**	**52282**	**51195**	**44732**	**45532**	**46880**	**46958**	**43386**

11	12	სულ
		9042
		43041
		45107
		43752
		44510
		44880
		45376
		45211
		48079
		51563
783		49489
31944	736	46023
11365	30114	42345
607	9985	10751
131	590	721
24	27	494
44854	**41452**	**570384**

11	12	სულ
		7746
		43891
		46002

		45599
		44094
		44869
		45203
		45751
		45460
		48195
673		47821
32503	805	47405
8919	30924	40636
444	8377	8965
97	557	654
33	24	474
42669	**40687**	562765

11	12	სულ
		5354
		43889
		46739
		46071
		45615
		44028
		44851
		45122
		45549
		45288
682		45878
29842	664	44689
11231	29120	41644
617	7857	8698

141	694	875
35	33	473
42548	**38368**	**554763**

11	12	სულ
		58
		48952
		48600
		47042
		46081
		45592
		43984
		44773
		45032
		45353
792		43043
30402	673	42372
11090	29141	41251
675	10386	11288
135	757	961
12	18	294
43106	**40975**	**554676**